

შპს „ჰორეკა დელივერი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძვლები.....	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
4. ამონაგები	10
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	10
6. დისტრიბუციისა და გაყიდვის ხარჯები	11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
8. ფინანსური ხარჯები, წმინდა	11
9. ძირითადი საშუალებები.....	12
10. მარაგები	12
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
13. მიღებული სესხები.....	13
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
17. პირობითი ვალდებულებები.....	15
18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჰორეკა დელივერის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჰორეკა დელივერის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად,

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

21 მარტი, 2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჰორეკა დელივერის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჰორეკა დელივერის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად,

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

21 მარტი, 2022 წელი

შპს „ჰორეკა დელივერი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020*
ამონაგები	4	12,881,550	3,125,271
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(11,235,916)	(2,180,799)
საერთო მოგება		1,645,634	944,472
დისტრიბუციისა და გაყიდვის ხარჯები	6	(307,775)	(172,548)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(230,018)	(66,674)
საოპერაციო მოგება		1,107,841	705,250
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(22,480)	(161)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა		-	3,558
მთლიანი სრული შემოსავალი		1,085,361	708,647

*2020 წელი მოიცავს პერიოდს კომპანიის დაფუძნებიდან - 2020 წლის 18 მაისიდან 31 დეკემბრამდე.


2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 21 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გურამ რომელაშვილი

მთავარი ბუღალტერი



სოფიო კიკნაძე

შპს „პორეკა დელივერი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020*
ამონაგები	4	12,881,550	3,125,271
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(11,235,916)	(2,180,799)
საერთო მოგება		1,645,634	944,472
დისტრიბუციისა და გაყიდვის ხარჯები	6	(307,775)	(172,548)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(230,018)	(66,674)
საოპერაციო მოგება		1,107,841	705,250
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(22,480)	(161)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა		-	3,558
მთლიანი სრული შემოსავალი		1,085,361	708,647

*2020 წელი მოიცავს პერიოდს კომპანიის დაფუძნებიდან - 2020 წლის 18 მაისიდან 31 დეკემბრამდე.


2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 21 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი რომელაშვილი

მთავარი ბუღალტერი



სოფიო კიკნაძე

9-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჰორეკა დელივერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	572,539	108,417
		572,539	108,417
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	1,440,273	437,732
საგადასახადო აქტივები		-	14,040
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,214,294	567,310
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	108,607	140,081
		2,763,174	1,159,163
სულ აქტივები		3,335,713	1,267,580
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი მოგება		1,794,008	708,647
სულ კაპიტალი		1,794,008	708,647
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	225,578	-
		225,578	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		50,548	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,133,763	458,867
მიღებული სესხები	13	131,816	100,066
		1,316,127	558,933
სულ ვალდებულებები		1,541,705	558,933
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,335,713	1,267,580

9-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჰორეკა დელივერი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	დაგროვილი მოგება	სულ
2020 წლის 18 მაისისთვის	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	708,647	708,647
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	708,647	708,647
მთლიანი სრული შემოსავალი	1,085,361	1,085,361
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,794,008	1,794,008

9-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჰორეკა დელივერი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,085,361	708,647
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	67,011	3,867
ფინანსური ხარჯი	8	37,458	161
მოგება საკუროსო სხვაობებიდან, წმინდა		(14,978)	(3,558)
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,174,852	709,117
<i>ცვლილებები სამუშაო კაპიტალში</i>			
მარაგების ზრდა		(1,002,541)	(437,732)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(646,984)	(90,055)
საგადასახადო აქტივების შემცირება/(ზრდა)		14,040	(14,040)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		49,177	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		674,896	(15,353)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		263,440	151,937
მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტები		(36,150)	(95)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		227,290	151,842
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	9	(531,133)	(112,284)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(531,133)	(112,284)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
მიღებული სესხების დაფარვა		(246,487)	(4,800)
მიღებული სესხების ზრდა		518,856	104,800
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		272,369	100,000
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		(31,474)	139,558
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	140,081	-
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასებიდან მიღებული მოგება		-	523
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	108,607	140,081

9-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰორეკა დელივერი (შემდგომში კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი - 418475563) დაფუძნდა 2020 წლის 18 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქალაქი გორი, ჯავახიშვილის ქ., N 7, საქართველო.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მესაკუთრეს და მაკონტროლებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი - გურამ რომელაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა კატეგორიის საკვები პროდუქტების: ბაკალეა, ხორცპროდუქტების, თევზეულის, ზღვისპროდუქტების, რძის ნაწარმის, გაყინული ხილ-ბოსტნეულის, სხვადასხვა აზიური და საკონდიტორო პროდუქტების ადგილობრივი შესყიდვა და დისტრიბუცია ე.წ. ჰორეკას (Hotel, Restaurant, Café) ტიპის საწარმოებზე.

კომპანიის დირექტორია გურამ რომელაშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. კომპანიის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა კომპანიის საქმიანობის ფუნქციონირებაზე. შედეგად ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

კომპანია გადახდავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ამონაგები

	2021	2020
რძის ნაწარმი	5,115,959	1,735,773
თევზი	1,828,792	400,198
ხილი და ბოსტნული	1,619,533	326,117
ბაკალეა	1,193,314	125,221
საკონდიტრო პროდუქტები	1,061,337	34,937
ზღვისპროდუქტები	836,937	61,263
ხორცპროდუქტები	641,122	343,481
აზიური პროდუქტები	495,018	60,402
სხვა	89,538	37,879
	12,881,550	3,125,271

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
რძის ნაწარმი	(4,531,016)	(1,313,482)
თევზი	(1,624,387)	(250,795)
ხილი და ბოსტნული	(1,333,415)	(206,979)
ბაკალეა	(1,014,791)	(54,863)
საკონდიტრო პროდუქტები	(951,814)	(18,380)
ზღვისპროდუქტები	(760,044)	(36,052)
ხორცპროდუქტები	(524,316)	(252,537)
აზიური პროდუქტები	(412,376)	(22,105)
სხვა	(83,757)	(25,606)
	(11,235,916)	(2,180,799)

შპს „ჰორეკა დელივერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. დისტრიბუციისა და გაყიდვის ხარჯები

	2021	2020
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(153,923)	(13,060)
იჯარის ხარჯი	(63,861)	(44,754)
საწვავის ხარჯი	(34,010)	(3,867)
ცვეთის ხარჯი	(25,165)	(4,864)
ავტომანქანის მოვლა შენახვის ხარჯები	(23,209)	-
დაზღვევის ხარჯი	(5,421)	(1,274)
სწავლებისა და ტრენინგის ხარჯები	-	(100,000)
სხვა	(2,186)	(4,729)
	(307,775)	(172,548)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(125,592)	(47,547)
საწვავის ხარჯი	(14,576)	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(41,846)	-
ოფისის ხარჯი	(33,883)	(17,299)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(9,770)	(1,231)
სხვა	(4,351)	(597)
	(230,018)	(66,674)

8. ფინანსური ხარჯები, წმინდა

	2021	2020
ფინანსური ხარჯები		
ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(27,404)	(161)
საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(10,054)	-
ფინანსური შემოსავლები		
მიღებული სესხების გადაფასებიდან მიღებული მოგება, წმინდა	14,978	-
	(22,480)	(161)

შპს „ჰორეკა დელივერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და აქლურვილობა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება				
2020 წლის 18 მაისისთვის	-	-	-	-
შემოსვლა	110,000	2,284	-	112,284
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	110,000	2,284	-	112,284
შემოსვლა	514,357	10,344	6,432	531,133
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	624,357	12,628	6,432	643,417
დაგროვილი ცვეთა				
2020 წლის 18 მაისისთვის	-	-	-	-
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(3,667)	(200)	-	(3,867)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(3,667)	(200)	-	(3,867)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(63,846)	(2,065)	(1,100)	(67,011)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(67,513)	(2,265)	(1,100)	(70,878)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	106,333	2,084	-	108,417
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	556,844	10,363	5,332	572,539

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სატრანსპორტო საშუალება MERCEDES-BENZ, S450 4MATIC LANG, საბალანსო ღირებულებით 477,614 ლარი, ჩადებულია სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 13.

10. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
რძის ნაწარმი	567,568	163,675
ზღვისპროდუქტები	344,106	17,232
ბაკალეა	188,012	7,958
თევზი	144,098	20,505
ხილი და ბოსტნეული	54,978	156,000
ხორცპროდუქტები	52,510	14,848
აზიური პროდუქტები	48,375	3,945
საკონდიტრო პროდუქტები	23,374	49,163
სხვა	17,252	4,406
	1,440,273	437,732

შპს „ჰორეკა დელივერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,129,657	460,509
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	84,637	106,801
	1,214,294	567,310

სავაჭრო მოთხოვნები და მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები არის მიმდინარე, არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული სალაროში	1,834	-
ფული საბანკო ანგარიშებზე ლარში	106,773	138,780
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	1,301
	108,607	140,081

13. მიღებული სესხები

	დასრულების თარიღი	ვალუტა	პროცენტი	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი					
სს "საქართველოს ბანკი"	22 ივლისი, 2024	ევრო	ცვალებადი*	225,578	-
				225,578	-
მოკლევადიანი					
სს "საქართველოს ბანკი"	22 ივლისი, 2024	ევრო	ცვალებადი*	131,816	-
ფიზიკური პირი - ივანე ყაჭიური	12 დეკემბერი, 2021	ლარი	24%	-	100,066
				131,816	100,066
სულ მიღებული სესხები				357,394	100,066

(*) - ცვალებადი პროცენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად - 6 თვიან ლიბორის განაკვეთს დამატებული 6%, მაგრამ არანაკლებ 6%-ისა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებით.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,102,346	456,711
სხვა ვალდებულებები	1,190	2,156
არაფინანსური ვალდებულებები		
მყიდველებისგან მიღებული ავანსები	30,227	-
	1,133,763	458,867

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიასა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ღირებულებების, ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების ანაზღაურება წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	(87,552)	(31,313)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საომარი მოქმედებები უკრაინაში - 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მგომარეობა არ დასრულებულა. კომპანია ვერ აფასებს აღნიშნული ომის შესაძლო გავლენას მის საქმიანობაზე.

17. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაკისრი ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები (ფინანსური და არა ფინანსური შეზღუდვები), რომლებსაც აკმაყოფილებდა საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	ევრო	აშშ დოლარი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.5040	3.0976
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	4.0233	3.2766

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტიდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	5
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	3
სხვა	3

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიეკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს სხვადასხვა სახის საკვებ პროდუქტებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ („FIFO“) მეთოდით.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

დაბეგვრა

გადასახადები მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადების გადახდა ხდება ზაფხულის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საკართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.